





სკულპტურული კომპოზიციის ზოგადი კონცეფცია

Continious shot – სკულპტურა უწყვეტი გადაღების რეჟიმში

მისი გეომეტრია მუდმივად ტრანსფორმირდება ხედვის კუთხის ცვალებასთან ერთად. ამ გარდასახვებს შორის გარკვეული შუალედებია , რომლებიც შიგნით გიტყუებს და ახალ სივრცეებს ბადებს – სივრცეს სივრცეში.

სკულპტურა მხოლოდ გარე კონტურით არ ამოიწურება და იკითხება გარემოსთან ერთად. მოძრაობისას მოცულობებს შორის კადრში შემოდის ქალაქის ფრაგმენტები, სხვა ეპოქის ნაწარმოებები, ბუნების ეპიზოდები, რაც სხვადასხვა დროით სიტუაციაში გვაგზავნის. არქიტექტურული სკულპტურა კი თავად ხდება მონტაჟის საშუალებაც და ობიექტიც.

სკულპტურული კომპოზიციისათვის შეირძა ტერიტორია A და წარმოადგენს 16000X4000X2000 მმ გაბარიტების ღეროების მოდულურ ბადეს.

მიწის ქვეშ გაბარიტების მონოლითური ბეტონის ფილაში ჩამონტაჟებულია ლითონის კაფსულების 125X125 მმ მოდულის ბადე, რომელშიც ჩამაგრდება არმირებული მინის (ფიბერგლასი) ღეროები.

ეს მობილური სისტემა საშუალებას იძლევა კომპოზიცია გახდეს მუდამ ცვალებადი: სკულპტურის შიგნით შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფორმის და სიდიდის სივრცეები; სამედიტაციო, ფერფორმანსისა თუ უბრალოდ დასასვენებელი სივრცეები. ყოველივე ეს შექმნის უნიკალურ ვიზუალურ შთაბეჭდილებებს და გამმძაფრებს გარედან სკულპტურის შიდა სივრცეების აღქმას, და პირიქით – შიდა სივრცეებიდან გარე სიტუაციისა.



გენგეგმა მ: 1:100



გეგმა მ: 1:100